ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №86

ქ. თბილისი "21" დეკემბერი 2016წ.

1. ხელშეკრულების მხარეები

ერთის მხრივ, **საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ინსტიტუტი "ოპტიკა"** (შემდგომში – **შემსყიდველი ორგანიზაცია**), წარმოდგენილი **დირექტორის ირაკლი** ავალიანის სახით,

და მეორეს მხრივ ი/მ **გოგიტა ცხომელიძე** (შემდგომში – **მიმწოდებელი**) სახით.

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2006 წლის 3 იანვრის №1 ბრძანებით დამტკიცებული "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ დებულების" შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულების ობიექტი და საგანი

2.1. ხელშეკრულების ობიექტი და საგანია დანართი №1 გათვალისწინებული მომსახურება (შემდგომში – **მომსახურება**)

2.2. ხელშეკრულების №1 დანართი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება განისაზღვრება საქართველოს ეროვნულ ვალუტაში და შეადგენს 200.00 (ორას) ლარს. ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქარველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადები.

4.მომსახურების ვადები და ადგილი

4.1. მომსახურეობის გაწევის ადგილია მიმწოდებელი ორგანიზაციის ადგილსამყოფელი.

4.2. მომსახურების გაწევის ვადა განისაზღვრება ხელშეკრულებაზე ხელმოწერიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

5.ხელშეკრულების ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მომსახურების შესრულება დასტურდება მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტით.

5.1. **შემსყიდველი ორგანიზაციის** მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლება მიეცეს **შემსყიდველი ორგანიზაციის** დირექტორის მოადგილეს გიორგი მჭედლიშვილს (პირადი №01008026034).

5.2. **მომსახურეობის შესრულების** დღედ მიიჩნევა მიღება-ჩაბარების აქტზე მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერის დღე.

6.ანგარიშსწორების ფორმა და ვადა

6.1. მხარეები ანგარიშსწორებას ახორციელებენ უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

6.2. **შემსყიდველი ორგანიზაცა** ვალდებულია **ხელშეკრულების ხელმოწერის** დღიდან არაუმეტეს 10 საბანკო დღისა აუნაზღაუროს **მიმწოდებელს** ხელშეკრულების ჯამური ღირებულება.

6.3 მიმწოდებელი გათავისუფლებულია წინასწარ გადასახდელი თანხის იდენტური ოდენობის გარანტიის წარდგენისაგან მისი საქმიანი რეპუტაციის, მის მიერ წარმოებული საქონლის, გაწეული მომსახურებისა და შესრულებული სამუშაოს ხარისხის და მისი ცნობადობის გათვალისწინებით;)

7.მხარეების უფლება-მოვალეობანი

7.1. **მიმწოდებელი** ვალდებულია:

7.1.1. განახორციელოს ხელშეკრულების საგნით გათვალისწინებული მომსახურება, უზრუნველყოს მომსახურების მაღალი ხარისხი.

7.1.2. შეასრულოს მასზე დაკისრებული ვალდებულებები კეთილსინდისიერად და თავისდროულად.

7.1.3. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას მის მიერ შესრულებული მომსახურების ხარისხზე.

7.1.4. მიმწოდებლის მიერ 2.1 პუნქტში აღნიშნული სამუშაოების უხარისხოდ შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით გამოასწოროს ნაკლი, მისი გამოვლენის დღიდან 5 კალენდარული დღის განმავლობაში, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ვერ ხორციელდება ხარვეზის გამოსწორება, მიმწოდებელი ვალდებულია აუნაზღაუროს შემსყიდველი ორგანიზაცას ფაქტობრივად მიყენებული ზიანი.

7.1.5. დროულად აცნობოს შემსყიდველ ორგანიზაციას მოსალოდნელი სირთულის წარმოშობის შესახებ, რაც მას პრობლემას შეუქმნის მომსახურების შესრულებაში.

7.1.6. მის მიერ **მომსახურების შესრულების** ვადის გადაცილების შემთხვევაში შემსყიდველ ორგანიზაციას გადაუხადოს პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0,01 პროცენტის ოდენობით.

7.1.7. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7.1.8. მიმწოდებელს არა აქვს უფლება, შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

7.1.9. **მიმწოდებელი** უფლებამოსილია მოითხოვოს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების დათქმულ ვადაში ანაზღაურება.

7.2. **შემსყიდველი ორგანიზაცა** ვალდებულია:

7.2.1. **მიმწოდებელს** ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში აუნაზღაუროს ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში.

7.2.2. **მიმწოდებლისგან** მიიღოს **მომსახურების შესრულება** ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.

7.2.3. ანგარიშსწორების ვადის გადაცილების შემთხვევაში **მიმწოდებელს** გადაუხადოს პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,01 პროცენტის ოდენობით.

7.2.4. **შემსყიდველი ორგანიზაციი** უფლებამოსილია:

7.2.5. **მიმწოდებლისგან** მოითხოვოს მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში შესრულება.

7.3. თითოეული მხარე ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

8. ფორს-მაჟორული სიტუაციები

8.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა.

8.2. ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომელსაც აქვს წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი და არ არის დაკავშირებული **შემსყიდველი ორგანიზაციის** ან/და

მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან. ფორს-მაჟორი შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით, სტიქიური უბედურებებით და სხვა გარემოებებით.

8.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

9.სხვა პირობები

9.1. ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017წლის 21 დეკემბრამდე.

9.2. მხარეთა შორის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული დავა წყდება მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საკითხს წყვეტს სასამართლო.

9.3. ხელშეკრულებაში ცვლილებების განხორციელება დაუშვებელია, თუ იმ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

9.4. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია, მხოლოდ ორივე მხარის წერილობითი თანხმობის შემთხვევაში.

9.5. ორივე მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას.

9.6. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა **შემსყიდველ ორგანიზაციას**, ხოლო მეორე ეგზემპლარი – **მიმწოდებელს**.

11.მხარეთა რეკვიზიტები

მიმწოდებლის მხრიდან:	შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან:
გოგიტა ცხომელიძე	სსიპ – ინსტიტუტი "ოპტიკა"
მის: ქობულეთი	მისამართი: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1
ტელ/ფაქსი:	ტელ./ფაქსი: 2365008/2337821
პ/ნ 61004015307	საიდენტიფიკაციო კოდი № 211367279
საბანკო რეკვიზიტები:	საიდენტიფიკაციო კოდი 202253480
სს "თი ბი სი" ბანკი	**სახელმწიფო ხაზინა**
საბანკო კოდი TBCBGE22	კოდიTRESGE22
ა/ა N GE39TB7489745063600024	ანგარიშის ნომერი 7 0870 7519
	დირექტორი
_____ გოგიტა ცხომელიძე	_____ ირაკლი ავალიანი
21 დეკემბერი 2016წ.	21 დეკემბერი 2016წ..

დანართი №1

2016 წლის 21 დეკემბრის №86ხელშეკრულების

ობიექტი

№	დასახელება	განზ. ერთ.	რაოდ ენობა	ერთ. ფასი (დღგ-ს ჩათვლით), ლარი	საერთო ფასი (დღგ-ს ჩათვლით), ლარი
1	კონდეციონერის მონტაჟი				80.00
2	კონდიციონერების ფრეონით შევსება				120.00
3					
4					
5					
6					
7					
8					
9					
				სულ:	200.00ლარი

მიმწოდებლის მხრიდან:

_____ გოგიტა ცხომელიძე

შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან:
სსიპ - ინსტიტუტი "ოპტიკა"-ს
დირექტორი

_____ ირაკლი ავალიანი

ქ. თბილისი

21 დეკემბერი 2016წ.

მიღება-ჩაბარების

აქტი№86/1

ჩვენ, ქვემორე ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირის- ინსტიტუტი "ოპტიკა", შემდგომში – **შემსყიდველი** და მეორეს მხრივ ი/მ **გოგიტა ცხომელიძე** (შემდგომში – **მიმწოდებელი**) ვადასტურებთ, რომ ჩვენ შორის **2016 წლის 21 დეკემბერს** გაფორმებული **№86** ხელშეკრულების საფუძველზე **მიმწოდებელმა** შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული **მომსახურება** და **შემსყიდველმა** მიიღო შესრულებული **მომსახურება**, რომლის ღირებულებამ შეადგინა **200.00 (ორასი ლარი)** ლარი.

მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება მოხდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში, ხარისხი დამაკმაყოფილებელია და მხარეებს ერთმანეთის მიმართ პრეტენზია არ გააჩნიათ.

მიიღო:	ჩააბარა:
შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
სსიპ ინსტიტუტი "ოპტიკა"-ს სახელით	
ირაკლი ავალიანი _____	_____
დირექტორი	